



*დოკუმენტი დამტკიცებულია უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის
12 მარტის №57 ბრძანებით,*


*დოკუმენტში ცვლილებები განხორციელდა უნივერსიტეტის
რექტორის 2020 წლის 11 ივლისის №168, 2021 წლის 16 თებერვლის
№912, 2021 წლის 18 მაისის №3536, 2022 წლის 21 ნოემბერის №
138584, 2023 წლის 1 მაისის №13818, 2024 წლის 27 დეკემბრის
№71987, 2025 წლის 9 იანვრის № 745 ბრძანებებით*

შპს ევროპის უნივერსიტეტის მმართველი საბჭოს დებულება

2020 წელი

დოკუმენტის შინაარსი

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი	3
მუხლი 2. ტერმინთა განმარტება.....	3
მუხლი 3. საბჭოს მიზანი.....	3
მუხლი 4. საბჭოს ფუნქციები და უფლებამოსილება	4
მუხლი 5. საბჭოს შემადგენლობა	4
მუხლი 6. საბჭოს წევრთა უფლებამოსილების ვადა.....	7
მუხლი 7. საბჭოს სხდომა.....	7
მუხლი 8. საბჭოს ორგანიზაციულ-ტექნიკური უზრუნველყოფა	7
მუხლი 9. საბჭოსა და საბჭოს წევრის უფლებამოსილების შეწყვეტა	8
მუხლი 10. დასკვნითი დებულებანი.....	8





მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. შპს ევროპის უნივერსიტეტის მმართველი საბჭოს დებულებით (შემდგომში - “დებულება”) რეგულირდება შპს ევროპის უნივერსიტეტის (შემდგომში - „უნივერსიტეტი“) მმართველი საბჭოს (შემდგომში - “საბჭო”) შემადგენლობა, ფუნქციები, საქმიანობის განხორციელებისა და გადაწყვეტილების მიღების წესი, ასევე საბჭოს წევრთა უფლებამოსილების შეწყვეტის საკითხები.
2. საბჭო იქმნება უნივერსიტეტის რექტორის სამართლებრივი აქტით, ამ დებულებით განსაზღვრული წესის შესაბამისად.
3. საბჭო, მისი კომპეტენციის ფარგლებში, თავისი საქმიანობის განხორციელებისას, უნივერსიტეტის მიზნებიდან და ამოცანებიდან გამომდინარე, ხელმძღვანელობს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, ამ დებულებითა და უნივერსიტეტში მოქმედი სხვა სამართლებრივი აქტებით.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

ამ დებულების მიზნებისთვის, დოკუმენტში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

- ა) თვითმმართველობის წარმომადგენელი საბჭოს წევრი - ევროპის უნივერსიტეტის სტრუქტურული თვითმმართველობის თავმჯდომარე/პრეზიდენტი;
- ბ) საბჭოს აკადემიური წევრი - ევროპის უნივერსიტეტის აფილირებული პერსონალი;
- გ) საბჭოს კურსდამთავრებული წევრი - ევროპის უნივერსიტეტის კურსდამთავრებული;
- დ) საბჭოს წევრი დამსაქმებელი ორგანიზაციიდან - პოტენციური დამსაქმებელი.

მუხლი 3. საბჭოს მიზანი

საბჭო არის უნივერსიტეტის მართვის ორგანო, რომლის მიზანია:

- ა) უნივერსიტეტის სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე სასწავლო, სამეცნიერო და ადმინისტრაციულ საქმიანობასთან დაკავშირებულ საკითხებზე გადაწყვეტილებების მიღება და რეკომენდაცი(ებ)ის შემუშავება;
- ბ) უნივერსიტეტის ეფექტიანი საქმიანობის ხელშეწყობა, გადაწყვეტილებ(ებ)ის მიღების პროცესში საუნივერსიტეტო საზოგადოებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობის უზრუნველყოფით.



მუხლი 4. საბჭოს ფუნქციები და უფლებამოსილება

1. საბჭოს ფუნქციებია:

- ა) უნივერსიტეტის მისიის, ხედვის და სტრატეგიის დოკუმენტის განხილვა და დამტკიცება;
- ბ) უნივერსიტეტის სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის, სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგის მექანიზმების განხილვა და დამტკიცება;
- გ) უნივერსიტეტის 3 წლიანი სამოქმედო გეგმის განხილვა და დამტკიცება;
- დ) საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)ის დამტკიცება, შეცვლა და გაუქმება; თანხმობის გაცემა ახალი საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების პროცესის დასაწყებად;
- ე) ხარისხის უზრუნველყოფის, საბიუჯეტო, ინტერნაციონალიზაციისა და ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკების დამტკიცება;
- ვ) უნივერსიტეტის სტრუქტურის, დებულების, სტრუქტურული ერთეულების შექმნის, რეორგანიზაციისა და ლიკვიდაციის, ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულ(ებ)ის - ფაკულტეტ(ებ)ის შექმნის, რეორგანიზაციისა და ლიკვიდაციის საკითხების განხილვა და რექტორისთვის რეკომენდაციების მიწოდება;
- ზ) უნივერსიტეტის შინაგანაწესის, ეთიკისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის კოდექსის განხილვა და რექტორისთვის რეკომენდაცი(ებ)ის მიწოდება;
- თ) ბიუჯეტისა და მისი კორექტირების საკითხების განხილვა და რექტორისთვის რეკომენდაცი(ებ)ის მიწოდება;
- ი) სამოქმედო გეგმის ყოველკვარტლური და ყოველწლიური ანგარიშის მოსმენა. ასევე, ბიუჯეტის შესრულების ყოველწლიური ანგარიშის განხილვა;
- ი¹) ყოველწლიურად ხარისხის განვითარების შესახებ ანგარიშის განხილვა და საჭიროების შემთხვევაში რეკომენდაციების გაცემა;
- კ) სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის დაფინანსების საკითხ(ებ)ზე, მიღებულ გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით, საჩივრების განხილვა და გადაწყვეტილების მიღება;
- კ¹) პირისთვის საპატიო დოქტორის წოდების მინიჭების განხილვა და დამტკიცება;
- ლ) კომპეტენციის ფარგლებში, დაწესებულების მიზნებისა და ამოცანების შესაბამისად, სხვა უფლებამოსილებ(ებ)ის განხორციელება.

2. საბჭო უფლებამოსილია გამოსცეს სამართლებრივი აქტი - დადგენილება.

3. საბჭოს მიერ გაცემულ რეკომენდაციას არ აქვს სავალდებულო ხასიათი. ამასთან, მისი გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში, რექტორი/პრეზიდენტი ვალდებულია დაასაბუთოს მიღებული გადაწყვეტილება.

მუხლი 5. საბჭოს შემადგენლობა

1. საბჭოს შემადგენლობაში შედიან:

- ა) რექტორი;
- ბ) ვიცე-რექტორი სასწავლო პროცესის ადმინისტრირების მიმართულებით;



- გ) ვიცე-რექტორი საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულებით;
- დ) ვიცე-რექტორი ხარისხის განვითარების მიმართულებით;
- დ¹) ვიცე - რექტორი შესყიდვების და მატერიალური რესურსების განვითარების მიმართულებით;
- დ²) ვიცე-რექტორი სტრატეგიული კომუნიკაციებისა და სტუდენტური სერვისების მიმართულებით;
- ე) ძირითადი საგანმანათლებლო სტრუქტურული ერთეულის - ფაკულტეტის დეკანი;
- ვ) ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის უფროსი;
- ზ) ფინანსური სამსახურის უფროსი;
- თ) საზოგადოებასთან ურთიერთობისა და მარკეტინგის სამსახურის უფროსი;
- ი) სტრატეგიული განვითარების სამსახურის უფროსი;
- ი¹) იურიდიული სამსახურის უფროსი;
- კ) ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი;
- ლ) თითო აფილირებული აკადემიური პერსონალი შესაბამისი ფაკულტეტიდან;
- მ) ევროპის უნივერსიტეტის ერთი კურსდამთავრებული;
- ნ) ევროპის უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის თავმჯდომარე/პრეზიდენტი;
- ო) ევროპის უნივერსიტეტის ერთი სტუდენტი;
- პ) ერთი პოტენციური დამსაქმებელი.

2. საბჭოს შემადგენლობაში აფილირებული აკადემიური პერსონალის არჩევა ხდება შესაბამისი ფაკულტეტის საბჭოს წარდგინებით.

3. საბჭოს შემადგენლობაში სტუდენტთა არჩევა ხდება მე-2 ან/და უფრო მაღალი კურსის, საუკეთესო აკადემიური მოსწრების მქონე, აქტიურ¹ სტუდენტთაგან. ფაკულტეტის საბჭო, დეკანის მიერ წარმოდგენილ კანდიდატურებს უყრის კენჭს და გადაწყვეტილებას იღებს ხმათა უმრავლესობით. მმართველ საბჭოზე თითოეული ფაკულტეტიდან წარდგენილი სტუდენტის კანდიდატურას ცალ-ცალკე ეყრება კენჭი და მმართველი საბჭო გადაწყვეტილებას სტუდენტის საბჭოს შემადგენლობაში შეყვანის შესახებ იღებს ხმათა უმრავლესობით. ხმათა გაყოფის შემთხვევაში გადაწყვეტია თავმჯდომარის ხმა. თუ, ამ დებულებით გათვალისწინებული პროცედურების დაცვით არ იქნა არჩეული სტუდენტი მმართველი საბჭოს მიერ, მმართველ საბჭოს შესაბამისი ფაკულტეტების მიერ წარედგინება ახალი კანდიდატურა.

4. საბჭოს შემადგენლობაში უნივერსიტეტის კურსდამთავრებულის არჩევა ხდება წარმატებულ² კურსდამთავრებულთაგან, შესაბამისი ფაკულტეტის საბჭოს წარდგინებით.

¹ კურიკულუმს გარე აქტივობებში, კონფერენციებსა და სტუდენტურ ცხოვრებაში აქტიურად ჩართული სტუდენტი;

² ევროპის უნივერსიტეტის კურსდამთავრებული, რომელიც დასაქმებულია თავისი კვალიფიკაციით;



5. საბჭოს შემადგენლობაში პოტენციურ დამსაქმებელთა არჩევა ხდება შრომის ბაზარზე წარმატებული ორგანიზაციების³ წარმომადგენელთაგან, შესაბამისი ფაკულტეტის საბჭოს წარდგინებით.

6. საბჭოს შემადგენლობაში დამსაქმებელი, კურსდამთავრებული ან სტუდენტი არ შეიძლება იყოს წარმოდგენილი უნივერსიტეტის ადმინისტრაციული/დამხმარე/აკადემიური/მოწვეული პერსონალისგან, ხოლო აფილირებული აკადემიური პერსონალი არ შეიძლება იყოს წარმოდგენილი უნივერსიტეტის ადმინისტრაციული პერსონალისგან (შეზღუდვა არ ვრცელდება პროგრამის ხელმძღვანელზე).

7. ფაკულტეტის საბჭოს მიერ ამ მუხლის მე-2, მე-4 და მე-5 პუნქტებში მითითებული პირების არჩევა ხდება შემდეგი წესით: აფილირებული პერსონალის შერჩევის პროცესის ორგანიზებას ახორციელებს ადამიანური რესურსების მართვის სამსახური შესაბამისი ფაკულტეტის დეკანის მიერ მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე. ხოლო დამსაქმებლის, კურსდამთავრებულის შერჩევის პროცესის ორგანიზებას ახორციელებს შესაბამისი ფაკულტეტის დეკანი. ადამიანური რესურსების მართვის სამსახური და ფაკულტეტის დეკანი, შესაბამის პირებს, ელექტრონულ ფოსტაზე უგზავნიან მმართველი საბჭოს ფუნქციებს შეთავაზების ფორმაში, რათა მონაწილეობა მიიღონ შერჩევის პროცესში. მმართველი საბჭოს წევრობის კანდიდატი ვალდებულია წარმოადგინოს ავტობიოგრაფია და უნივერსიტეტის განვითარების ხედვა. წარმოდგენილი დოკუმენტაცია განიხილება შესაბამისი ფაკულტეტის საბჭოზე და თითოეულ კანდიდატს ცალ-ცალკე ეყრება კენჭი. არჩეულად ჩაითვლება ის კანდიდატი, რომელიც დააგროვებს ხმათა უმრავლესობას. ხმათა თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია საბჭოს თავმჯდომარის ხმა.

8. თითოეული ფაკულტეტის მიერ წარდგენილი კურსდამთავრებულისა და დამსაქმებლის კანდიდატურებს მმართველი საბჭოს წევრები უყრიან კენჭს. არჩეულად ჩაითვლება ის კანდიდატურა, რომელიც მეტ ხმას დააგროვებს, ხმათა გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია საბჭოს თავმჯდომარის ხმა. თითოეული ფაკულტეტის მიერ წარდგენილი აფილირებული აკადემიური პერსონალის კანდიდატურის, მმართველი საბჭოს მიერ არჩევის შემთხვევაში, შესაბამისი ფაკულტეტის აფილირებული პერსონალი რექტორის ბრძანებით ემატება მმართველი საბჭოს შემადგენლობას. თუ, ამ დებულებით გათვალისწინებული პროცედურების დაცვით არ იქნა არჩეული შესაბამისი ფაკულტეტის აფილირებული პერსონალი, კურსდამთავრებული ან დამსაქმებელი მმართველი საბჭოს მიერ, მმართველ საბჭოს შესაბამისი ფაკულტეტის მიერ წარედგინება ახალი კანდიდატურა.

³ საჯარო ან კერძო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც ახორციელებს საქმიანობას უნივერსიტეტში არსებული პროგრამების შესაბამის შრომის ბაზარზე, აქტიურად თანამშრომლობს უნივერსიტეტთან.



9. საბჭოს სხდომაზე, ხმის უფლების გარეშე, შეიძლება მოწვეულ იქნან სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელები, მოწვეული ექსპერტები და სხვა პირები, მმართველი საბჭოს გადაწყვეტილებით.

მუხლი 6. საბჭოს წევრთა უფლებამოსილების ვადა

1. საბჭოს წევრის უფლებამოსილების ვადა განისაზღვრება მისი იმ ადმინისტრაციულ თანამდებობაზე ყოფნის ვადით, რომელიც ითვალისწინებს საბჭოს წევრობას, ხოლო თვითმმართველობის პრეზიდენტის შემთხვევაში - მისი ამ პოზიციაზე ყოფნის ვადით.
2. საბჭოს აკადემიური პერსონალის, სტუდენტის, კურსდამთავრებულის და პოტენციური დამსაქმებლის ორგანიზაციიდან წარმოდგენილი წევრების უფლებამოსილების ვადა განისაზღვრება ერთი კალენდარული წლით. წევრის უფლებამოსილების ვადაზე ადრე შეწყვეტის შემთხვევაში, ფაკულტეტის საბჭოს მიერ წარდგენილი კანდიდატი ინიშნება დარჩენილი ვადით.

მუხლი 7. საბჭოს სხდომა

1. მმართველთა საბჭო თავის უფლებამოსილებას მიკუთვნებულ საკითხებს განიხილავს საბჭოს სხდომებზე.
2. საბჭოს სხდომა მოიწვევა საბჭოს თავმჯდომარის ინიციატივით, საჭიროებისამებრ, მაგრამ არანაკლებ სემესტრში ორჯერ.
3. საბჭოს სხდომებს ხელმძღვანელობს/თავმჯდომარეობს უნივერსიტეტის რექტორი.
4. საბჭო გადაწყვეტილება უნარიანია, თუ მას ესწრება წევრთა არანაკლებ 51%.
5. საბჭო გადაწყვეტილებას იღებს დამსწრე წევრთა ხმების უმრავლესობით, ხმათა თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადაწყვეტია რექტორის ხმა.
6. საბჭოს ხმათა უმრავლესობით მხარდაჭერილი საკითხი, რომლის დამტკიცების უფლებამოსილება საბჭოს არ გააჩნია, წარედგინება უნივერსიტეტის რექტორს/პრეზიდენტს, შესაბამისი სამართლებრივი აქტის (ბრძანების) გამოცემის მიზნით.

მუხლი 8. საბჭოს ორგანიზაციულ-ტექნიკური უზრუნველყოფა

1. საბჭოს საქმიანობის ორგანიზაციულ-ტექნიკურ უზრუნველყოფას ახორციელებს საბჭოს მდივანი (შემდგომში - "მდივანი"), რომელსაც ბრძანებით განსაზღვრავს უნივერსიტეტის რექტორი.
2. მდივანი უზრუნველყოფს საბჭოს სხდომების ჩატარების ორგანიზებას, საბჭოს წევრთა დროულ ინფორმირებასა და საბჭოს სხდომებზე მოწვევას, მათთვის დღის წესრიგის გაცნობას, საბჭოს სხდომის ოქმის, დადგენილების შედგენასა და შენახვას.



3. საბჭოს სხდომის ოქმს ხელს აწერს საბჭოს თავმჯდომარე და მდივანი, ხოლო საბჭოს დადგენილებას ხელს აწერს საბჭოს თავმჯდომარე.
4. საბჭოს მდივნის არყოფნის შემთხვევაში, მის მოვალეობას ასრულებს საბჭოს დამსწრე წევრთა უმრავლესობის მიერ დასახელებული საბჭოს წევრი.

მუხლი 9. საბჭოსა და საბჭოს წევრის უფლებამოსილების შეწყვეტა

1. საბჭოს უფლებამოსილების შეწყვეტის საფუძვლებია:
 - ა) უნივერსიტეტის ლიკვიდაცია;
 - ბ) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის დაკარგვა;
 - გ) უნივერსიტეტის სტრუქტურული ცვლილება, რომელიც იწვევს მმართველი საბჭოს გაუქმებას;
 - დ) შიდასაუნივერსიტეტო სამართლებრივი აქტით განსაზღვრული სხვა საფუძვლები.
2. საბჭოს წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის საფუძვლებია:
 - ა) პირადი განცხადება;
 - ბ) გარდაცვალება, გარდაცვლილად ან უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარება;
 - გ) სასამართლოს მიერ მხარდაჭერის მიმდებარე ცნობა;
 - დ) საბჭოს სხდომების სისტემატური არასაპატიო მიზეზით გაცდენა⁴, გარდა საბჭოს ადმინისტრაციული წევრებისა;
 - ე) საბჭოს ადმინისტრაციული წევრის შემთხვევაში, იმ ადმინისტრაციული თანამდებობიდან გათავისუფლება, რაც ითვალისწინებს საბჭოს წევრობას;
 - ვ) საბჭოს აკადემიური წევრის შემთხვევაში, აფილირებულის სტატუსის შეწყვეტა;
 - ზ) საბჭოს სტუდენტი წევრის შემთხვევაში, სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა;
 - თ) თვითმმართველობის წარმომადგენელი საბჭოს წევრის შემთხვევაში, თვითმმართველობის პრეზიდენტის უფლებამოსილების შეწყვეტა;
 - ი) უნივერსიტეტის სამართლებრივ აქტებში განხორციელებული ცვლილება, რომლის შესაბამისად იცვლება საბჭოს შემადგენლობა/წევრი.
3. საბჭოს წევრის უფლებამოსილების შეწყვეტა ფორმდება რექტორის სამართლებრივი აქტით.

მუხლი 10. დასკვნითი დებულებანი

1. წინამდებარე დებულება მტკიცდება რექტორის სამართლებრივი აქტით.
2. დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხდება რექტორის სამართლებრივი აქტით, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 11. გარდამავალი დებულება

⁴ სემესტრში ჩატარებული სხდომების 50%-ზე მეტის გაცდენა.



ამ დებულების ძალაში შესვლამდე ფაკულტეტების საბჭოებზე განხილული დამსაქმებლის კანდიდატურები ასარჩევად წარედგინოს მმართველ საბჭოს, რომელიც გადაწყვეტილებას მიიღებს ხმათა უმრავლესობით.

